

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეს  
ბატონ რომეო მიქაუტაძეს

ასლი: საქართველოს ბიზნესომბუდსმენს  
ბატონ ოთარ დანელიას

ასლი: საქართველოს მთავრობის  
ადმინისტრაციას

ბატონო რომეო,

თქვენი 2022 წლის 30 მარტის N15/2049 წერილთან დაკავშირებით მოგახსენებთ შემდეგს:

უპირველეს ყოვლისა, გამოვთქვამთ ჩვენს მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის მოქმედ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით განხორციელებული ქმედებებისადმი. მეტიც, როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრისადმი გაგზავნილ წერილში ავღნიშნეთ, ჩვენი საზოგადოების დანიშნულება არის შუალედური რგოლის ფუნქციის შესრულება სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, რათა სამაცივრო ტექნიკის, ჰაერის კონდიციონერებისა და თბური ტუმბოების სექტორმა ჩვენ ქვეყანაში იფუნქციონიროს საერთაშორისო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად, რაც საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ვალდებულებას წარმოადგენს.

ჩვენი წერილის მიზანი იყო ნორმატიული დოკუმენტების შედგენაში პროფესიონალების მონაწილეობის აუცილებლობის ხაზგასმა. მაგალითისთვის მოყვანილი იყო „ენერგოეტიკეტირების“ შესახებ საქართველოს კანონთან დაკავშირებული ტექნიკური რეგლამენტი „პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერების ენერგოეტიკეტირების წესის თაობაზე“, სადაც გვხვდება როგორც არაკორექტული ტექნიკური ტერმინები, ისე ბუნდოვანი ადგილები.

სამწუხაროდ, თქვენი წერილიდან გამომდინარე ჩვენთვის გაუგებარი დარჩა, რა ზუსტი (არაბუნდოვანი) კრიტერიუმებით მოხდება პროფესიული სამაცივრო საკნების გამიჯვნა სხვა სამაცივრო სისტემებისგან და ვინ მოიპოვებს აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის მე-3 და მე-4 მუხლების შესაბამისად წარმოსადგენ ინფორმაციას „სარწმუნო, უტყუარი და აღწარმოებადი გაზომვის პროცედურების შედეგად“. დღეს საქართველოს არ გააჩნია არც სათანადო ტექნიკური ბაზები და არც ადამიანური რესურსი აღნიშნული რეგულირების განსახორციელებლად. ეს არის კომპლექსურად გადასაჭრელი პრობლემა და არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს მხოლოდ ერთ სამინისტროს. ამიტომ ვითხოვეთ ჩვენ წერილში, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის დავალების საფუძველზე მოეწყოს უწყებათშორისი შეხვედრა, რომელზეც განხილული იქნება სამაცივრო ტექნიკის, ჰაერის კონდიციონერებისა და თბური ტუმბოების სექტორთან დაკავშირებული ენერგოეფექტურობის, ტექნიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების და პროფესიული სწავლების საკითხები.

რაც შეეხება ტექნიკურ რეგლამენტს „პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერების ენერგოეტიკეტირების წესის თაობაზე“, თუ თქვენი დავალებით ორგანიზებული იქნება შეხვედრა აღნიშნულ რეგლამენტში ბუნდოვანი საკითხების დეტალურად განსახილველად, რათა თავიდან იქნეს აცილებული შემდგომი გართულება და სექტორში მოქმედი სუბიექტების კანონთან წინააღმდეგობაში აღმოჩენა, ჩვენ გამოვთქვამთ მზაობას მივიღოთ მასში მონაწილეობა და

შევიტანოთ ჩვენი წვლილი ამ დოკუმენტის დახვეწაში. სხვათა შორის ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2015 წლის 5 მაისის (EU) 2015/1094 რეგულაციის - „ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2010/30/EU დირექტივის დამატებითი რეგულაცია პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის ენერგო-ეტიკეტირების შესახებ“ მე-7 პარაგრაფში “Review” წერია, რომ კომისიამ უნდა გადახედოს ამ რეგულირებას ტექნიკური პროგრესის თვალსაზრისით მისი ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 5 წლის შემდეგ. განა ეს არ მეტყველებს, რომ აღნიშნული რეგულირების მნიშვნელობიდან და მისი აღსრულების სირთულიდან გამომდინარე იგი უნდა იყოს მუდმივად განახლებადი დოკუმენტი?

ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკითხის განხილვაში საქართველოს ბიზნესომბუდსმენსის მონაწილეობა. რამდენადაც თქვენი წერილის მიხედვით საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი მონაწილეობდა კანონპროექტის განხილვაში და აღნიშნული უწყებისთვის ცნობილია განსახილველი რეგლამენტების შინაარსი და მათი გავლენა სექტორში მოქმედ სუბიექტებზე.

პატივისცემით,

სულხან სულაძე